

არჩევანი უკეთესი ცხოვრების სასარგებლოდ

მაია მოსიაშვილი

„ნებისმიერი ადამიანი ელოდება, რომ მისი ცხოვრება მომავალში უკეთესი იქნება. და თუ ფიქრობ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხარ და არაფრის შეცვლა არ შეგიძლია, დეპრესიაში ვარდები. სწორედ აქედან იწყება შენი, როგორც პიროვნების, დეგრადაცია. თუმცა ყოველთვის არის დრო, რომ შეჩერდე, დაფიქრდე და არჩევანი გააკეთო, არჩევანი უკეთესი ცხოვრების სასარგებლოდ.“



ოლგა ენდელაძე ერთ-ერთი ბოლო „ჩრდილოელი პატარძალი“ იყო, რომელიც სიყვარულის გამო მისთვის სრულიად უცხო და სამოქალაქო ომში ჩათრეულ საქართველოში აღმოჩნდა. უკრაინის შემდეგ უშუქო და უპურო მარნეულში ცხოვრება 22 წლის ოლგასთვის ადვილი არ იყო. პირველი რაც ახსოვს, ტელევიზიით ნაჩვენები აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები იყვნენ და თვლის, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში ცხოვრებამ და ყველა ქართველის საერთო ტკივილის გათავისებამ უცხოელის კომპლექსი სრულიად მოუხსნა. პირიქით, მრავალეთნიკურ სოციუმში გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს - თუ არც ქართველი ხარ და არც აზერბაიჯანელი საზოგადოება ნაკლებად

კრიტიკულია შენდამი, რადგან არ არის საჭიროება შენს წინააღმდეგ ის კულტურული წნეხი გამოიყენოს, რაც საკუთარი სოციუმის წევრი ქალებისადმი იყენებს. ბევრისთვის ეს რეალობა შესაძლოა გაუცხოების მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ არა ოლგასთვის. ის მალევე მიხვდა, რომ არა მარტო საკუთარ, არამედ სხვა ქალებისსაჭიროებებზეც უნდა ეზრუნა. ეთნიკურ ჩარჩოებში მოქცეული საზოგადოებანაკლებად კრიტიკული იყო მისდამი - „რუსია და შეუძლია ილაპარაკოს...“ ჰოდა ასეც იქცეოდა, ხმამაღლა ამბობდა, რომ არ მოსწონდა ის ტრადიციები, რომელიც ქალების ცხოვრებას ჭაობში ცხოვრებას ამსგავსებდა - ადრეული ქორწინება, გაუნათლებლობა და უფულებობა. ხმამაღლა ამბობდა იმას, რასაც მისი ნაცნობი ქალები სამზარეულოებში და სამეზობლო ყავის სმის დროს თუ დაიწყებდნენ.

ოლგას ცხოვრება კიდევ ერთხელ მკვეთრად შეიცვალა, როცა სკოლაში 15 წლიანი პედაგოგობის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ის ამ სისტემას აღარ სჭირდებოდა და თავადაც აღარ უნდოდა სისტემის ნაწილად დარჩენა. როგორც თავად ამბობს, სწორედ ამ რთულმა პერიოდმა უბიძგა ეფიქრა საკუთარი რესურსების უკეთ გამოყენებაზე.

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს 40 წლის ქალმა, რომელსაც დამხმარე არ ჰყავს, 6 შვილს საკუთარი შრომით არჩენს და სამსახურს დაკარგავს?

„ნებისმიერი ადამიანი ელოდება, რომ მისი ცხოვრება მომავალში უკეთესი იქნება. და თუ ფიქრობ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხარ და არაფრის შეცვლა არ შეგიძლია, დეპრესიაში ვარდები. სწორედ აქედან იწყება შენი, როგორც პიროვნების, დეგრადაცია. თუმცა ყოველთვის არის დრო, რომ შეჩერდე, დაფიქრდე და არჩევანი გააკეთო, არჩევანი უკეთესი ცხოვრების სასარგებლოდ“ - ამბობს ოლგა.

ოლგამ არჩევანი უკეთესი ცხოვრების სასარგებლოდ გააკეთა და თავადაც ვერ მიხვდა, როგორც გადაიქცა ლიდერად და ხმად იმ ქალებისა, რომლებიც ტრადიციულ მასკულინურ კულტურაში საკუთარი უფლებებისთვის იბრძვიან.

„მარნეულის დემოკრატი ქალთა კავშირი“ მისი მეორე ოჯახი გახდა, ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდის უფლების დაბრუნება კი - მისი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. მისი ლიდერობით ორგანიზაციამ მთელი კამპანია წამოიწყო, რათა საბავშვო ბაღების საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის პრიორიტეტულ საკითხად ექციათ: სკოლამდელი აღზრდის ადვოკატირება ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების დროს, ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, პედაგოგებისთვის ხელფასების გაზრდის მოთხოვნა, დონორების ძიება ახალი საბავშვო ბაღების გასახსნელად, სკოლამდელი აღზრდის მოძველებული სისტემის ცვლილებების ინიცირება, ამ სისტემაში მომუშავე ადამიანების შრომითი უფლებების დაცვა და, რაც მთავარია, ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების უფლების დაბრუნება.

„დღეს მარნეულში სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხოლოდ 12 პროცენტი დადის ბაღში, რაც იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი 88 პროცენტი სრულიად მოუმზადებელი მიდის საშუალო

სკოლაში. აზერბაიჯანელი ეროვნების ბავშვების სასკოლო მოსწრების მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რადგან ელემენტარული სტანდარტები არ არის დაცული, როცა ბავშვი სკოლაში მიდის. მან არც საკუთარი და არც სახელმწიფო ენა იცის იმ დონეზე, რომ კარგად სწავლა შეძლოს. რაც უფრო ბევრ ბავშვს ექნება უფლება მიიღოს სკოლამდელი აღზრდა, მით უფრო მეტად გაიზრდება მათი საშუალო განათლების მაჩვენებელი. აზერბაიჯანულენოვან საბავშვო ბაღებში სწავლების მეთოდოლოგიის სწორად შერჩევა კი დადებითად აისახება სახელმწიფო ენის ცოდნის დონეზე,“ - ამბობს ოლგა.

„დემოკრატ ქალთა“ ორწლიანი მუშაობის შედეგი შთამბეჭდავია: ადგილობრივი თვითმმართველობისთვის საბავშვო ბაღები პრიორიტეტული გახდა, მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული 10-ვე საბავშვო ბაღის თანამშრომლებს ხელფასი გაეზარდათ; მალე სოფელ კაპანახში ევროპული სტანდარტების საბავშვო ბაგა-ბაღი გაკეთდება, რომლის რეაბილიტაციას პოლონეთის და იაპონიის საელჩოები დააფინანსებენ;

ოლგა და მისი მეგობრები სოფელ-სოფელ დადიან აქტიური ქალების მოსამძებნად და საკუთარ მაგალითზე აჩვენებენ, რომ მათაც შეუძლიათ იბრძოლონ საკუთარი შვილების უკეთესი მომავლისთვის. ოლგას სჯერა, რომ 2-3 წელიწადში სრულიად შესაძლებელია მარნეულელი ბავშვების ნახევარს მაინც ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ხარისხიან სკოლამდელ აღზრდაზე და ამბობს, რომპასუხისმგებლობას გრძნობს ყველა იმ ქალისადმი, რომელიც მას მიჰყვება და სჯერა.

„მე საკმარისად ბევრი შვილი მყავს იმისთვის რომ ვიმუშავო ან არ ვიმუშავო... თუმცა არჩევანი არც მაქვს, ოჯახს რჩენა სჭირდება, ხოლო ბავშვებს ძლიერი დედა. სხვა დედების და მათი შვილების უფლებებისთვის ხმის ამოდება თუ პოზიციის დაფიქსირება ჩემს პიროვნულ პასუხისმგებლობად გადაიქცა და ზუსტად ვიცი, რომ სხვანაირად ცხოვრებას ველარც შევძლებ,“ - ამბობს სამი უკვე მოზრდილი ვაჟისა და სამი ტყუპი გოგონას დედა, რომლებიც ჯერ მხოლოდ 4 წლისები არიან და ძალიან ენატრებათ მუდამ სამუშაოზე მყოფი ოლგა.